



CENTRE FOR LAW
AND DEMOCRACY

სასამართლო გადაწყვეტილებები საქართველოში: როგორ
დავიცვათ ბალანსი ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი
ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის

ტობი მენდელი
აღმასრულებელი დირექტორი
სამართლისა და დემოკრატიის ცენტრი

2017 წლის თებერვალი

შესავალი

უკვე მრავალი წლის მანძილზე, ევროპის სამართლებრივ რეალობაში აქტუალური თავსატეხი არსებობს. საერთო სამართლის ქვეყნებში, კერძოდ გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში, სასამართლოს სრული გადაწყვეტილებები, რაც შეიცავს მხარეთა ვინაობასაც, ზოგადი წესით ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. ევროპის სხვა ნაწილებში, სადაც მოქმედებს გაბატონებულია კონტინენტური სამართლის სისტემა, გადაწყვეტილებები ძირითადად ქვეყნდება მხარეთა ვინაობის დაფარვით. პირველ შემთხვევაში დასაბუთებას წარმოადგენს მართლმსაჯულების საჯაროობა, ხოლო უკანასკნელში დომინირებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის იდეა.

პრაქტიკაში ამ მასიური განხეთქილებისა და მისი ამსახველი ძირითადი უფლებების ინტერპრეტაციის ფუძემდებლური განსხვავებების მიუხედავად, ხსენებული საკითხი არასოდეს წამოწეულა წინა პლანზე. აღნიშნული არც კი ყოფილა მრავლისმომცველი

დებატების საგანი, არათუ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პირდაპირი განხილვის ობიექტი. საქართველოში, სადაც როგორც საჯაროობის, ისე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის სურვილი ძლიერია, ადგილობრივმა ორგანიზაციამ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI¹) ეს საკითხი წინ წამოიწია და გახდა მიმდინარე აქტიური განხილვების საგანი, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო უწყებათა წარმომადგენლები დებატების მაგიდის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ.

რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები ორივე, როგორც საერთო სამართლის, ისე კონტინენტური სამართლის ქვეყნებში. მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნებში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საქმისწარმოების მონაწილე არასრულწლოვანთა ვინაობა ჩანაცვლებულია ინიციალებით, ამ მიმართულებით გაერთიანებული სამეფო კიდევ უფრო შორს წავიდა და დაამკვიდრა პრეზუმფცია, რომ ამგვარი სასამართლო სხდომები ყოველთვის დახურულია, რაც განამტკიცა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებებმა. აღსანიშნავია, რომ ბევრი კონტინენტური სამართლის ქვეყანა გასცემს სრულ ოქმებს უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს საქმეებზე, მხარეთა ვინაობის მითითებით. ამასთან, კონტინენტური სამართლის ქვეყნებში, გარკვეულ შემთხვევებში სასამართლო გადაწყვეტილებებში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით მოთხოვნილი ყოფილა ბრალდების წარმომადგენელთა ან მოსამართლეთა ვინაობის დაფარვა.

მითითებულ პრაქტიკას უპირისპირდება გამჭვირვალე მართლმსაჯულება, რომელიც დეკლარირებულია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში.² აღნიშნულის თანახმად, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს საქვეყნოობის პრინციპის დაცვით, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. აღნიშნული წარმოშობს შეუსაბამო სიტუაციას, სადაც მედიას საშუალება აქვს დაესწროს და ვრცლად გააშუქოს მაღალი საჯარო ინტერესის შემცველი სასამართლო სხდომები, ხოლო საქართველოში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მედიას გააჩნია სასამართლო სხდომების გაშუქების უფლება მაშინ, როდესაც საქმეში მოსამართლის მოსაზრებები და დასაბუთება შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მხარეთა ვინაობის დაფარვით.

მოცემული დოკუმენტი იკვლევს მითითებული განხილვის შედეგად წარმოშობილ დაპირისპირებულ პოზიციებს, იმის გათვალისწინებით, თუ რა მიდგომები აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, ერთი მხრივ, გამოხატვის თავისუფლებას - ინფორმაციაზე წვდომის უფლებასა და, მეორე მხრივ, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის კონფლიქტის შემთხვევაში. დოკუმენტი წარმოაჩენს ამ პროცესში არსებულ ზოგად პრინციპებს და განიხილავს სასამართლოს მიდგომას სამართალწარმოების სპეციფიკურ კონტექსტში აღნიშნული ბალანსის დაცვის მიმართ.

¹ იხილეთ <https://idfi.ge/ge>.

² მიღებული 1950 წლის 4 ნოემბერს, E.T.S. No. 5, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.

1. ინფორმაციის თავისუფლება, როგორც ადამიანის უფლება

დღესდღეობით, აღიარებულია, რომ საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება, ან, სხვაგვარად, უფლება ინფორმაციაზე, საერთაშორისო სამართალში არსებული მიდგომებით დაცულია როგორც ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლება - გამოხატვის თავისუფლება. მითითებული ტენდენცია შედარებით ახალია, რაც ხსნის იმას, თუ რატომ არ დამდგარა სასამართლო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მითითებული კონფლიქტის შეფასების საკითხი ჯერჯერობით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე.

ნათელია, რომ 1950 წელს კონვენციის და 1966 წელს მისი საერთაშორისო ანალოგის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის ³ მიღების დროისათვის ინფორმაციის უფლება არ იყო აღიარებული ადამიანის ძირითად უფლებად და, შესაბამისად, არ წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლების უფლების კომპონენტს. მიუხედავად ამისა, პროგრესული ინტერპრეტაციის საშუალებით ინფორმაციის უფლება გაგებული იქნა, როგორც თანმდევი გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო გარანტიისა.

ამ საკითხთან მიმართებით ადრეულ განაცხადს (იმ დროისთვის) წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული სამი სპეციალური საერთაშორისო მანდატის - გამოხატვისა და აზრის თავისუფლებაზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, მედიის თავისუფლების მიმართულებით ეუთოს წარმომადგენლისა და გამოხატვის თავისუფლებაზე ამერიკული შტატების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის 1999 წლის ერთობლივი დეკლარაცია, რომელიც შეიცავდა შემდეგ მითითებას:

„გამოხატვის თავისუფლებისათვის დამახასიათებელია საზოგადოების უფლება ინფორმაციის ღია წვდომაზე და იმის ცოდნა, თუ რას აკეთებს ხელისუფლება მათი სახელით, რის გარეშეც სიმართლე შესუსტდებოდა და სახელმწიფოს მართვაში ხალხის მონაწილეობა ფრაგმენტული სახით წარმოდგებოდა.“⁴

აღნიშნულს მოჰყვა გაცილებით ნათელი განცხადება მათ 2002 წლის ერთობლივ დეკლარაციაში:

„საჯარო დაწესებულებების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად უფლებას, რომელსაც საჭიროა მიენიჭოს შესაბამისი ეფექტი მაქსიმალური საჯაროობის პრინციპზე დაფუძნებული, თანმიმდევრული შიდა კანონმდებლობის მეშვეობით (მაგალითად, კანონები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ), სადაც იარსებებს პრეზუმფცია, რომ ყველა

³ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 2200A(XXI), 1966 წლის 16 დეკემბერი, ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.

⁴ 1999 26 ნოემბერი. სპეციალური მანდატების მას შემდეგ ყოველ წელს იღებენ ერთობლივ დეკლარაციას. მითითებული ხელმისაწვდომია მისამართზე: <http://www.osce.org/fom/66176?page=1>.

სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია და ექვემდებარება მხოლოდ გამონაკლისთა ვიწრო სისტემით შეზღუდვას.“⁵

მითითებული უფლების მსგავსი ადრეული აღიარება იკითხება გამოხატვის თავისუფლების პრინციპების ინტერ-ამერიკულ დეკლარაციაში,⁶ აფრიკულ გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დეკლარაციასა⁷ და ევრო-საბჭოს მინისტრთა კომიტეტის #R(2002)2 რეკომენდაციაში ოფიციალურ დოკუმენტაციაზე წვდომის შესახებ, რომელიც მთლიანად ამ საკითხს ეძღვნება.⁸

საერთაშორისო სასამართლოების მიერ ინფორმაციის თავისუფლების ფორმალური აღიარება მოხდა შედარებით მოგვიანებით. პირველ მსგავს სასამართლოს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული სასამართლო, საქმეში *Claude Reyes and Others v. Chile*.⁹ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ინტერ-ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლით დეკლარირებული გამოხატვის თავისუფლება მოიცავდა უფლებას ინფორმაციაზე, და განმარტა, რომ:

„განსახილველ საქმეში ფაქტებთან მიმართებით, სასამართლო მოიაზრებს, რომ კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის მიხედვითაც გარანტირებულია ინფორმაციის „მოძიება“ და „მიღება“, იცავს ყველა პირის უფლებას, ჰქონდეს წვდომა ხელისუფლების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე, იმ გამონაკლისთა გათვალისწინებით, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციით დეკლარირებული რეჟიმით.“¹⁰

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ასევე მოგვიანებით ცნო აღნიშნული უფლება. 2011 წელს გენერალურ კომენტარში მან მიუთითა:

„მე-19 მუხლის მე-2 პარაგრაფი ითვალისწინებს საჯარო ორგანოების ხელთ არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას.“¹¹

ამ მიმართულებით ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ტენდენცია წარმოადგენს საინტერესო კონტრასტს. რამდენიმე ადრეულ გადაწყვეტილებაში, დაწყებული 1987 წლის *Leander v. Sweden* საქმით,¹² სასამართლომ ფაქტობრივად უარყო ინფორმაციაზე წვდომის უფლების ადგილი გამოხატვის თავისუფლების უფლების კონსტრუქციაში, და განმარტა:

⁵ 2004 6 დეკემბერი.

⁶ ადამიანის უფლებათა ინტერ-ამერიკული კომისიის მიერ მიღებულ იქნა 108-ე რეგულარულ სესიაზე 2000 წლის 19 ოქტომბერს, იხ პარაგრაფი 4.

⁷ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისიის მიერ მიღებულ იქნა 32-ე სესიაზე, 2002 წლის 17-22 ოქტომბერი. იხ პრინციპი IV.

⁸ 2002 წლის 21 თებერვალი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული დოკუმენტი კონცენტრირებულია ინფორმაციის უფლების შინაარსზე მეტად, ვიდრე მის ადამიანის უფლებად ცნობაზე.

⁹ 2006 წლის 19 სექტემბერი, სერია C, No. 151.

¹⁰ იქვე., პარაგრაფი 77

¹¹ გენერალური კომენტარი No. 34, 2011 წლის 12 ოქტომბერი, პარ. 18.

¹² 1987 წლის 26 მარტი, საქმის no. 9248/81.

„ინფორმაციის თავისუფლება ფაქტობრივად უკრძალავს ხელისუფლებას პირის შეზღუდვას იმ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც სხვა პირებს სურთ ან შეიძლება სურდეთ გაუმხილონ მას. მე-10 მუხლი იმ პირობებში, რაც წარმოდგენილია განსახილველ საქმეში, არ ანიჭებს პირს უფლებას ჰქონდეს წვდომა ინფორმაციაზე და არ ასახავს ხელისუფლების მიმართ ინფორმაციის პირისათვის გამხელის ვალდებულებას.“¹³

საბოლოოდ, 2009 წელს, ინტერ-ამერიკული ადამიანის უფლებათა სასამართლოს Claude-ის გადაწყვეტილებიდან რამდენიმე წელში, და სავარაუდოდ სწორედ ამ გადაწყვეტილების ნაწილობრივი გავლენით, ევროპულმა სასამართლომ საბოლოოდ შეცვალა მიმართულება და დაიწყო, მიუხედავად დასაბუთების კომპლექსურობისა, საფუძვლის ჩაყრა ინფორმაციის უფლების კონვენციის მე-10 მუხლის სფეროში ცნობისა.¹⁴ შემდგომ წლებში მან ასევე სცადა უფრო ნათლად გადმოეცა აღნიშნული პრაქტიკა. დიდი პალატის გადაწყვეტილებით საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*,¹⁵ საკითხი ამ დროისთვის შედარებით მოწესრიგებულია. ამ საქმეში, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ინტერ-ამერიკული იურისპრუდენციისაგან განსხვავებით ევროპაში ცალკე მდგომი ინფორმაციის უფლება არ არსებობს. ამის ნაცვლად, უფლება თანმდევია განმცხადებლისა, რომელსაც ესაჭიროება ინფორმაცია, რათა „განახორციელოს მისი ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და მესამე პირთათვის გამხელის თავისუფლება.“¹⁶ სხვა სიტყვებით ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი უნდა იყოს ტრადიციული გაგებით გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა.

სასამართლომ ასევე განსაზღვრა სამი სხვა პირობა. პირველი, „განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია, მონაცემი ან დოკუმენტი უნდა აკმაყოფილებდეს საჯარო ინტერესის ტესტს,“¹⁷ ან უფრო ნათლად, განმცხადებელმა უნდა მოითხოვოს ინფორმაცია საჯარო ინტერესის მიზნისათვის. მეორე, რაც ასევე მჭიდრო კავშირშია ზემოთ მოცემულთან, რომ განმცხადებლის როლი „ინფორმაციის მიღებისა და საზოგადოებაში მისი გავრცელებისთვის წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანს.“¹⁸ საბოლოო კრიტერიუმი არის, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს „მზა და ხელმისაწვდომი“ იმ გაგებით, რომ ხელისუფლებას იგი ხელთ უნდა ჰქონდეს და არ სჭირდებოდეს მისი შეგროვება.¹⁹ ბოლო პირობა ფართოდაა გამოყენებული ინფორმაციის უფლების კანონმდებლობაში, მაშინ, როცა ეს ასე არაა დანარჩენი ორი პირობისათვის.

მიუხედავად მნიშვნელოვანი შეზღუდვებისა, სასამართლომ ცნო ინფორმაციის უფლება როგორც გამოხატვის თავისუფლების კომპონენტი. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს ძირეული აღიარება ნათლად არ მომხდარა 2016 წლამდე მიუთითებს იმაზე, რომ ძალზე მცირე შესაძლებლობა არსებობდა უფლების ფარგლებზე მსჯელობისთვის ან იმის გასარკვევად, თუ

¹³ იქვე, პარ. 74

¹⁴ *Társaság A Szabadságjogokért v. Hungary*, 2009 წლის 14 აპრილი, საქმის no. 37374/05.

¹⁵ 2016 წლის 8 ნოემბერი, საქმის no. 18030/11.

¹⁶ იქვე, პარ. 158.

¹⁷ იქვე, პარ. 161.

¹⁸ იქვე, პარ. 164.

¹⁹ იქვე, პარ. 169.

როგორ მიემართება იგი სხვა უფლებებს. აღნიშნულის გამოსარკვევად ჩვენ მიმოვიხილავთ სასამართლოს მიერ მიღებულ ზოგად პრინციპებს, რომლებიც შემუშავებულ იქნა საქმეებში სადაც ერთმანეთს ორი ხსენებული ინტერესი უპირისპირდებოდა.

2. გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაბალანსების ზოგადი პრინციპები

კონცეპტუალურად ნათელია, რომ ორი უფლების განხილვისას, რომელთაც არ გააჩნიათ აბსოლუტური ხასიათი, როგორებიცაა გამოხატვის თავისუფლება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სასამართლომ უნდა დაადგინოს გარკვეული სახის ბალანსი, რაც, თავის მხრივ, უნდა ეფუძნებოდეს ამ უფლებების შეზღუდვისა და ჩარევის ტესტს, იმის განსაზღვრისათვის, თუ რომელ უფლებას მიენიჭოს უპირატესობა მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში. აღნიშნული განსაკუთრებულად საინტერესოა მაშინ, როდესაც უფლებათა შეზღუდვის სამართლებრივი ტესტი თითქმის იდენტურია. ხსენებული სახეზეა გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შემთხვევებშიც. აღნიშნული ინტერესები დაცულია, შესაბამისად, კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით.

პრაქტიკაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხშირად უხდება მითითებულ ორ უფლებას შორის არსებული კონფლიქტის შემთხვევაში მათ შორის ბალანსის დადგენა. როგორც აღნიშნულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეში:

„პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უნდა დაბალანსდეს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით, რომელიც დეკლარირებულია კონვენციის მე-10 მუხლით.“²⁰

უნდა აღინიშნოს, რომ საქმე, რომელშიც პრობლემატურია გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის კონფლიქტი, შეიძლება ინიცირებული იყოს სარჩელით ამ ორიდან ნებისმიერის დარღვევის მოტივით. სასამართლო შესაძლოა დადგეს მრავალი მსგავსი დავის გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე, სადაც, მაგალითისთვის, ერთი ქვეყნის სასამართლოებმა პრიორიტეტი მიანიჭეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ხოლო სხვა ქვეყნების სასამართლოებმა გამოხატვის თავისუფლებას. ნათელია, რომ კონვენციის მიხედვით უფლებათა დაცვის სისტემის თანამიმდევრულობა მოითხოვს, რომ შედეგი ყოველთვის იყოს ერთგვარი, მიუხედავად მსგავსი საქმეების რაოდენობისა. სხვა სიტყვებით, სასამართლოს მიერ ბალანსის დაცვა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, აფასებს იგი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვას გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ, თუ პირიქით.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის კონფლიქტი შესაძლოა წარმოიშვას სახელმწიფოს პირდაპირი ქმედებით ერთის ან მეორის შეზღუდვის კონტექსტში. აღნიშნულს ადგილი აქვს, როდესაც

²⁰ *Von Hannover v. Germany*, 2004 24 ივნისი, საქმის no. 59320/00, პარ. 58.

მაგალითად, სახელმწიფო იძლევა, ან არ იძლევა წვდომის უფლებას კერძო ინფორმაციაზე, ან კერძო მონაწილეთა მიერ პირად ცხოვრებაში ჩარევის კონტექსტში,²¹ როდესაც ბეჭდვით მედიაში ქვეყნდება პირადი ცხოვრების შემცველი ინფორმაცია. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ სულ მცირე გარკვეულ პირობებში, სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება დაიცვას ინდივიდები პირადი ცხოვრებაში არა-საჯარო მონაწილეებისაგან მსგავსი ჩარევისაგან. აღნიშნულს აკადემიურ ლიტერატურაში უფლებათა ჰორიზონტალური მიმართება ეწოდება. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ როდესაც მსგავსი შემთხვევები წარმოშობს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის კონფლიქტს, აუცილებელია აღნიშნულ უფლებებს შორის ბალანსის დადგენა:

„მე-8 მუხლის ფარგლებში მკაფიო ზღვარი სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის ვერ გაივლება; გამოსაყენებელი პრინციპები ერთგვარია, ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა მიექცეს სამართლიან ბალანსს, რომელიც უნდა დადგინდეს კონფლიქტში მყოფ ინტერესებს შორის.“²²

კიდევ ერთი მნიშვნელოვან საკითხს გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის ბალანსის განსაზღვრის პროცესთან კავშირში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კონვენცია იცავს პირად ცხოვრების ხელშეუხებლობას და არა პერსონალურ მონაცემებს. კონვენციის ტექსტში არსად არის მოხსენიებული პერსონალური მონაცემები, რაც თავისი არსით ხშირად გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ორ ცნებას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის რიგი ფუძემდებლური პრინციპები შესაძლოა პირდაპირ მომდინარეობდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ცნებიდან. მაგალითად, რიგ განჩინებებში სასამართლომ განსაზღვრა, რომ კერძო ინფორმაციის შეგროვება წარმოშობს საფრთხეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონტექსტში.²³ ზემოთ მითითებულ საქმეში, *Leander v. Sweden*, სასამართლომ დაადგინა, რომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის როგორც შენახვა, ასევე გამჟღავნება წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას.²⁴ სასამართლომ ასევე განსაზღვრა, რომ კერძო ინფორმაციის გავრცელება წარმოშობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს.²⁵ რამდენიმე საქმეში, მაგალითად, *Rotaru v. Romania* სასამართლომ მიუთითა არასწორი ინფორმაციის წაშლის უფლებაზე.²⁶

²¹ თეორიულად კერძო მონაწილეს ასევე შეუძლია პირადი ცხოვრების განმტკიცებით შეზღუდოს გამოხატვის თავისუფლებაც, თუმცა მსგავსი შემთხვევა არ დამდგარა სასამართლო განხილვის წინაშე, და ჰიპოთეტური მაგალითებიც კი რთული მოსაფიქრებელია. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო მონაწილეებს არ მოიცავს უფლება ინფორმაციაზე, თუმცა ისინი შეიძლება იყვნენ სუბიექტები როდესაც მოქმედებენ საჯარო დაფინანსებით, ან აღასრულებენ საჯარო უფლებამოსილებას.

²² *Von Hannover v. Germany (no. 2)*, 2012 წლის 7 თებერვალი, საქმეები nos. 40660/08 და 60641/08, პარ. 99.

²³ იხ, მაგ, *Murray v. the United Kingdom*, 1994 წლის 28 ოქტომბერი, საქმე No. 14310/88, პარ. 86.

²⁴ სქოლიო 12. იხ. ასევე *Rotaru v. Romania*, 4 May 2000, საქმე No. 28341/95.

²⁵ იხ, მაგ. *Z. v. Finland*, 1997 წლის 25 თებერვალი, საქმე No. 22009/93, პარ. 94.

²⁶ სქოლიო 24, პარ. 46.

ამავდროულად, სასამართლოს წამყვანი გადაწყვეტილებები ხაზგასმით მიუთითებს, რომ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, ავტომატურად არ გულისხმობს პირადი ცხოვრების ინტერესის არსებობას. საქმეში *S. and Marper v. the United Kingdom*, რომელიც დიდმა პალატამ განიხილა, პრობლემატურ საკითხს წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებების მიერ კონრეტული ინფორმაციის შენახვა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ინფორმაცია წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემს, მაგრამ შემდეგ შეაფასა თუ რამდენად წარმოადგენდა ამგვარი ინფორმაციის შენახვა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევას. სასამართლომ მიუთითა, რომ:

„იმის განსაზღვრის პროცესში, სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია მოიცავს თუ არა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რომელიმე ასპექტს, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სადავო ინფორმაციის ჩაწერისა და მოპოვების სპეციფიური კონტექსტი, ჩანაწერის ხასიათი, ჩანაწერების გამოყენების ბუნება და შედეგები, რაც შესაძლოა აღნიშნულს მოჰყვეს.“²⁷

დიდი პალატის სხვა გადაწყვეტილებაში, კერძოდ, *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, სასამართლომ განიხილა მოთხოვნა „სახელმწიფო დამცველთა ვინაობისა და გარკვეულ იურისდიქციებში მათი მოქმედების რაოდენობის“ შესახებ. სასამართლომ უარყო, რომ აღნიშნული ინფორმაცია, მიუხედავად მისი უდავოდ პერსონალური მონაცემის ხასიათისა, წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ასპექტს და განმარტა, რომ:

„სასამართლოსთვის მითითებულ ვინაობათა მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცალსახად წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, უკავშირდებოდა პროფესიული აქტივობის განხორციელებას საჯარო წარმოების კონტექსტში. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო დამცველთა პროფესიული საქმიანობა არ შეიძლება მოაზრებულ იქნას როგორც კერძო საკითხი.“²⁸

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ინფორმაცია არ ატარებდა პირად ხასიათს, შესაბამისად არ არსებობდა გამოხატვის თავისუფლებასა (ამ შემთხვევაში უფლება ინფორმაციის წვდომაზე) და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დადგენის აუცილებლობა.²⁹ ამის ნაცვლად, მითითებულ საქმეში უპირატესობა გამოხატვის თავისუფლების ინტერესს მიენიჭა.

მოცემულ საქმეში მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტება, რომლის თანახმადაც მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემი იგი ავტომატურად არ წარმოშობს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. როგორც საქმეზე *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary* გადაწყვეტილებით გამოიკვეთა, გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წესი, უპირატესობა ენიჭება პირადი ცხოვრების ელემენტების გარეშე არსებულ პერსონალურ მონაცემთან მიმართებით, რამდენადაც უკანასკნელი არ წარმოადგენს

²⁷ 2008 წლის 4 დეკემბერი, საქმეები nos. 30562/04 და 30566/04, პარ. 67.

²⁸ სქოლიო 15, პარ. 194.

²⁹ იქვე., პარ. 196.

კონვენციით დაცულ ადამიანის უფლებას. რა თქმა უნდა, აღნიშნული პრინციპი შეიძლება არ იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სხვა ინტერესებთან, მაგალითად სახელმწიფო უსაფრთხოებასთან.

სასამართლომ ზოგადად დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ფართო უფლებაა, და ხშირად იყენებს მითითებულ ციტატას გადაწყვეტილებებში:

„სასამართლო აღნიშნავს, რომ „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის“ კონცეფცია არის ძალზე ფართო ცნება და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას.“³⁰

ამავდროულად, როგორც ზემოთ მოცემული საქმეების ანალიზიდან იკვეთება, ისინი არ ფარავენ პერსონალური მონაცემების ცნებას. აღნიშნული, მოიცავს ნებისმიერ მონაცემს, რომელიც დაკავშირებულია კერძო ინდივიდთან.³¹ ვფიქრობ, სამართლიანი იქნება თუ ვივარაუდებთ, რომ ზოგადი წესის თანახმად პერსონალური მონაცემები არის პირადი ცხოვრების შემადგენელი ნაწილი, ხოლო შემდგომ მივმართავთ შესაბამის პრინციპებს რომ მოცემული სფეროდან გამოვრიცხოთ კონკრეტული სახის პერსონალური მონაცემები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კონკრეტული გადაწყვეტილებები ნათელს ჰფენენ მოცემულ საკითხს. გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია ის ზოგადი პრინციპები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პერსონალური მონაცემები გამოირიცხება პირადი ცხოვრების ცნებით დაცული შემადგენლობიდან.

საქმე *Axel Springer AG v. Germany* მოიცავდა კოლიზიას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და პირის პატივისა და ღირსების უფლებას შორის. სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა, რომ უკანასკნელი იყო „პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების ნაწილი“ და ასევე განმარტა, რომ:

„იმ შემთხვევაში, როდესაც დავა ეხება პატივისა და ღირსების შელახვას, რომელიც თანმდევია პირის ქმედებისა, მაგალითად დანაშაულის ჩადენა, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას კონვენციის მე-8 მუხლი.“³²

საქმეში *Társaság A Szabadságjogokért v. Hungary*, განსახილველ საკითხს წარმოადგენდა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჭრილში. დავის ფაქტორივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელმა ორგანიზაციამ საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ განცხადების შედგენისას, რომელიც ეხებოდა პარლამენტის წევრის მიერ წარდგენილ კონსტიტუციურ საჩივარს, გამორიცხა საკუთრი მოთხოვნიდან პარლამენტის წევრის შესახებ პერსონალური მონაცემები. მიუხედავად აღნიშნულისა, სასამართლომ მკაფიო სტანდარტი დაადგინა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით საჯარო თანამდებობის პირებთან მიმართებით:

³⁰ იხ. მაგ., *S. and Marper v. the United Kingdom*, სქოლიო 27, პარ. 66.

³¹ ზოგ შემთხვევაში დამატებითი მოთხოვნით, რომ მონაცემი იყოს ავტომატური დამუშავების ობიექტი, ან სხვა პირობით.

³² 2012 7 თებერვალი, საქმე no. 39954/08, პარ. 83.

„სასამართლო შეუძლებლად მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის სფეროთი დაცული პარლამენტის წევრის პირადი ცხოვრების რაიმე ასპექტი გამოვლენილი ყოფილიყო მისი კონსტიტუციური სარჩელიდან. მან შეატყობინა პრესას კონსტიტუციური სარჩელის შესახებ, შესაბამისად მისი მოსაზრება ამ საჯარო საკითხზე შესაძლოა იდენტიფიცირებული ყოფილიყო მის პიროვნებასთან ერთად. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიტიკის სფეროში გამოხატვის თავისუფლებისათვის ფატალური იქნებოდა, თუკი საჯარო პირებს შეეძლებოდათ პრესისა და საჯარო დისკუსიისათვის ცენზურის დაწესება მათი პერსონალური უფლებებიდან გამომდინარე, იმაზე მითითებით, რომ მათ მოსაზრებები საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მიემართება მათ პიროვნებას და შესაბამისად წარმოადგენს კერძო მონაცემებს, რომელთა გამჟღავნება არ შეიძლება თანხმობის გარეშე. აღნიშნული არგუმენტები, სასამართლოს აზრით, ვერ გაამართლებს განსახილველ საქმეში არსებულ შეზღუდვას.“³³

აღნიშნული თანხვედრაში მოდის საქმესთან *Magyar Helsinki Bizottság v. Hungary*, სადაც სასამართლომ უარყო იდეა, რომ სახელმწიფო ადვოკატის საქმიანობასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენდა პერსონალურ მონაცემებს, შეიძლებოდა აღქმული ყოფილიყო როგორც პირადი ცხოვრების ნაწილი. ამავე საქმეში, სასამართლომ იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა პერსონალური მონაცემი პირადი ხასიათის, მიუთითა, რომ „პირის გონივრული მოლოდინი პირად ცხოვრებასთან მიმართებით შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ არა განმსაზღვრელი ფაქტორი აღნიშნულის შეფასებისას.“³⁴

3. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და გამოხატვის თავისუფლების დაბალანსების სპეციფიკური სტანდარტები

მოცემული ნაშრომის მიზნებს მიღმა ამომწურავი ბალანსის ტესტის შემოთავაზება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში. ყველა შემთხვევაში, ეს შესაძლოა არც იყოს რელევანტური, რამდენადაც საერთაშორისო სასამართლოებს ჯერ კიდევ არ გაუანალიზებიათ მითითებული დაბალანსების პროცედურის მიმართ მიდგომა ინფორმაციის უფლების, როგორც გამოხატვის თავისუფლების ასპექტის სპეციფიკურ კონტექსტში, უდავოდ გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული მიმართულებით პრაქტიკა ძალზე ახალია. შესაბამისად, დოკუმენტის ამ ნაწილის მიზანი არის ძირითადი მიდგომების ჩამოყალიბება, რასაც სასამართლოები, და განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მიმართავს, როდესაც მითითებული უფლებები კონფლიქტში მოდიან.

³³ სქოლიო 14, პარ. 37.

³⁴ სქოლიო 15, პარ. 193.

დაბალანსების განხორციელების ძირითადი პრინციპები, სულ მცირე მაშინ, როდესაც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვითი ინტერესი (ინფორმაციის უფლების საპირისპიროდ) კოლიზიაშია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან, დეკლარირებულ იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მიერ საქმეში *Von Hannover v. Germany (no. 2)*. თუმცა, სასამართლოს მოტივაციის უკეთ გასაგებად ასევე საინტერესოა საქმე *Von Hannover v. Germany*.

პირველ, *Von Hannover v. Germany* საქმეში, რომელიც შეეხებოდა მონაკოს პრინცესას ფოტოების გამოქვეყნებას, გერმანულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ იგი წარმოადგენდა თანამედროვე საზოგადოების “*par excellence*” ფიგურას (*eine “absolute” Person der Zeitgeschichte*)³⁵ და, როგორც ასეთი, გააჩნდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ლიმიტირებული უფლება მისი საცხოვრებლის გარეთ. თუმცა, მათ განსაზღვრეს, რომ მისი და მისი შვილების გარკვეული ფოტოების გამოქვეყნება წარმოადგენდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა პრინციპი, რომ „გარკვეულ შემთხვევებში, პირს გააჩნია მისი პირადი ცხოვრების დაცვისა და პატივისცემის ლეგიტიმური მოლოდინი“,³⁶ იგივე რაც შემდგომში განისაზღვრა საქმეში *Magyar Helsinki Bizottság* (იხილიეთ სქოლიო 34 და თანდართული ტექსტი). სასამართლოს ამოცანას წარმოადგენდა მოსარჩელის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და იმ პირების გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის დადგენა, რომელიც პასუხისმგებელი იყო ფოტოების გამოქვეყნებასა და ხელმისაწვდომობაზე.

სასამართლომ გამიჯნა აბსოლუტურად პირადი მასალა და ინფორმაცია, რომელზეც არსებობდა საჯარო ინტერესი და დაადგინა:

„სასამართლო მიიჩნევს, რომ ფუნდამენტური ზღვარი უნდა იქნეს გავლებული ფაქტების გაშუქებას, თუნდაც ისინი იყვნენ სადავო ხასიათის, რომლებიც, მაგალითად, შესაძლებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში პოლიტიკოსთა მიერ მათი ფუნქციების განხორციელების შესახებ დისკუსიის წარმართვას დაეხმარონ, და იმ პირის პირადი ცხოვრების დეტალების გაშუქებას შორის, რომელიც როგორც საქმეშია მითითებული, არ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას. მაშინ როდესაც პირველ შემთხვევაში პრესა, საჯარო ინტერესს დაქვემდებარებულ საკითხზე ინფორმაციისა და იდეის გამჟღავნებით ახორციელებს დემოკრატიაში „ზედამხედველის“ სასიცოცხლო როლს, უკანასკნელ შემთხვევაში მსგავსი ასპექტი არ წარმოიჩინდება.“³⁷

სასამართლომ განსაზღვრა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შეზღუდვა, არ შეიძლებოდა გამართლებულიყო გამოხატვის თავისუფლებაზე მითითებით და აღნიშნა, რომ:

³⁵ სქოლიო 20, პარ.-ები 19, 21, 23 and 25.

³⁶ იქვე., პარ. 51.

³⁷ იქვე., პარ. 63.

„გამომდინარე იქიდან, რომ გამოქვეყნებული ფოტოები და თანდართული კომენტარები მიემართებოდა მხოლოდ განმცხადებლის პირადი ცხოვრების დეტალს, ამ ვითარებაში არ არსებობს საჯარო ან პოლიტიკური დისკუსიის ინტერესი და იგი არ შედის აღნიშნულ სფეროში.“³⁸

აღსანიშნავია, რომ ფოტოები ასახავდა პრინცესას ისეთ ქმედებებს, როგორებიცაა თხილამურებით სრიალი, ცხენით ჯირითი და სანაპიროზე სეირნობა, რაც ფართო საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესს ნაკლებად წარმოადგენს. შესაბამისად, ფოტოების გავრცელების საჯარო ინტერესის არარსებობა იყო სასამართლოს მიერ საკითხის ამგვარი გადაწყვეტის მიზეზი.

მეორე Von Hannover საქმეში სასამართლომ განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა. ამ შემთხვევაშიც მან გამორიცხა ფოტოები, სადაც პრინცესა თხილამურებზე სრიალებდა, ან წარმოდგენილი იყო სოციალურ შეკრებებზე, თუმცა დაადგინა, რომ ფოტოები, სადაც პრინცესა ნაჩვენებია იყო მის ავადმყოფ მამასთან, მონაკოს პრინცთან ერთად, ატარებდა განსხვავებულ ხასიათს. ამ ფოტოებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლო დაეთანხმა გერმანულ სასამართლოებს და მიუთითა, რომ:

„პრესას უფლება ჰქონდა გაეშუქებინა თუ როგორ აღასრულებდნენ პრინცის შვილები ოჯახური სოლიდარობის ვალდებულებას პირადი ცხოვრების ლეგიტიმურ მოთხოვნილებებთან ერთად.“³⁹

სხვა სიტყვებით, როდესაც ფოტოები ასახავდა ურთიერთობას მონარქსა და მის შვილებს შორის, წარმოიშობოდა საჯარო ინტერესი, რაც საკმარისი იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესის დაძლევისათვის.

ამ დასკვნის მიღების პროცესში სასამართლომ შეიმუშავა 5 ფაქტორი, რომლებიც მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული, კერძოდ:

- სადავო ინფორმაციის მიერ შეტანილი წვლილი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელ დისკუსიაში. აღნიშნული განიმარტა ფართოდ და დადგინდა, რომ მოიცავს მხოლოდ პოლიტიკურ და დანაშაულთან დაკავშირებულ საკითხებს (რაც ცალსახად აღნიშნა სასამართლოს მიერ), არამედ ასევე ხელოვნებასა და სპორტს.
- შემხებლობაში მყოფი პირის როლი ან ფუნქციები და რამდენად წარმოადგენს ის საზოგადოებისთვის ცნობილ პიროვნებას.
- პირის წარსული ქმედებები და რამდენად გამოიწვია, ან გაამართლა აღნიშნულმა მისი გაშუქება.
- გაშუქების ხასიათი და მისი გავრცელების ფარგლები.
- გარემოებები, რომელშიც მოხდა ინფორმაციის მოპოვება, იმის ჩათვლით, არსებობდა თუ არა თანხმობა, და უფლებაში ჩარევის ინტენსივობა.⁴⁰

³⁸ იქვე., პარ. 64.

³⁹ სქოლიო 22, პარ. 117.

⁴⁰ იქვე., პარ.-ები 109-113.

მითითებულ საქმეში საინტერესო იყო არსებული საჯარო ინტერესის შედარებით დაბალი ინტენსივობა. მაშინ, როდესაც მაღალი რანგის პოლიტიკოსის შვილების ქცევა მისი ავადმყოფობის პერიოდში არის გარკვეული საჯარო ინტერესის ობიექტი, არსობრივად აღნიშნული არ წარმოადგენს წონად ინტერესს. ხსენებული არ შეედრება, მაგალითად, თანამდებობის პირის ქმედებებს მისი მოვალეობების განხორციელების ასპექტში, ან ამასთან დაკავშირებულ საკითხებს, ან თუნდაც, ქმედებებს იმ კერძო პირისა, რომელიც დროებით არის ისეთ გარემოებაში, რომელიც იმსახურებს საჯარო ყურადღებას. შედეგად, საქმიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ მცირე საჯარო ინტერესის არსებობის პირობებშიც კი, გამოხატვის თავისუფლება უპირატესობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან მიმართებით.

ზემოთ განვითარებული მსჯელობა არაა საფუძველს მოკლებული. გამოხატვის თავისუფლების ინტერესი, სულ მცირე, საზოგადოებრივი ინტერესის საგანთან დაკავშირებული დისკუსიის კონტექსტში (სასამართლოს მიერ შემუშავებული პირველი ფაქტორი), არის საჯარო ინტერესი და მან ჩვეულებრივ უნდა გადაწონოს პირის, ან პირთა მცირე ჯგუფის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესი. სხვა სიტყვებით, ბალანსის დადგენა საჭიროებს გამოხატვის თავისუფლების ფართო საზოგადოებრივი ღირებულების გათვალისწინებას და არა მხოლოდ იმ პირის, ან მხარის ვიწრო ინტერესებისა, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას.

შეიძლება ითქვას, რომ დაბალანსების მსგავსი განხორციელება მტკიცედაა ინკორპორირებული ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტებში. ხსენებული სტანდარტები გულისხმობს, რომ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, თუკი არ არსებობს ორი გარემოება. პირველი, ინფორმაციის გამჟღავნება დააზიანებს დაცულ ინტერესს, მათ შორის პირადი ცხოვრების ინტერესს, და მეორე, ზოგადი საჯარო ინტერესი, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით უპირატესობას ანიჭებს კონფიდენციალობას. მიუხედავად იმისა, რომ Von Hannover-ის საქმეები შეეხებოდა გამოხატვით ინტერესს მეტად, ვიდრე უფლებას ინფორმაციაზე, ეს საქმეები მოითხოვდა დაბალანსების მსგავს მიდგომას, რაც გამოიყენება ბევრ ქვეყანაში სასამართლოების მიერ საჯარო ინტერესის დაძლევისას.

4. მითითებული პრინციპების სასამართლო გადაწყვეტილებებში გათვალისწინება

დოკუმენტის ამ ნაწილის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომათა და გადაწყვეტილებათა საჯაროობა ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური ნაწილია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი ნაწილის თანახმად:

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ან წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ... სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იყოს დაშვებული სრულ სასამართლო

პროცესზე ან მის ნაწილზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნოობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.“

გადაწყვეტილებათა საჯაროდ გამოცხადების მოთხოვნა არ ითვალისწინებს გამონაკლისს. ნათელია, რომ აღნიშნული მიემართება გადაწყვეტილებას სრულად და არა მხოლოდ სარეზოლუციო, ან/და სამოტივაციო ნაწილს. საქმეში *Ryakib Biryukov v. Russia* სარეზოლუციო ნაწილი წაკითხულ იქნა სრული დასაბუთების გარეშე. ევროპის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხსენებული პროცედურა არღვევდა მე-6 მუხლის პირველი პუნქტს და მიუთითა, რომ:

„სასამართლო მიიჩნევს რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზანი მითითებულ კონტექსტში - კერძოდ, საზოგადოების მიერ სასამართლოს კრიტიკის უზრუნველყოფა სამართლიანი სასამართლოს დაცვის მიზნით - არ იქნა მიღწეული განსახილველ საქმეში, როდესაც საზოგადოებისათვის მიუწვდომელი იყო თუ რა მოტივით არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა.“⁴¹

მიუხედავად ამისა, ევროპულ სასამართლოს არასდროს გაუმახვილებია ყურადღება იმ სპეციფიურ საკითხზე, მოიცავს თუ არა აღნიშნული საქმეში მხარეთა სახელებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგ შემთხვევაში, კერძოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების დაცვის მოტივით, გარკვეული ინფორმაციის გადაწყვეტილებიდან ამოღება შეიძლება აუცილებლობას წარმოადგენდეს, თუმცა მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომი იყოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. საქმეში რაზა ბულგარეთის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა:

„...სასამართლო გადაწყვეტილების სრული ხელმიუწვდომლობა საზოგადოებისათვის მსგავს პროცედურაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას გამართლებულად. სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა მიზნად ისახავს საზოგადოების მხრიდან სასამართლო სისტემის კრიტიკის უზრუნველყოფას და ადგენს ფუნდამენტურ გარანტიებს თვითნებობის წინააღმდეგ. უდავოა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საქმეებშიც კი, როგორებიცაა ტერორისტული მოქმედებები, იმ ქვეყნათა ხელისუფლებები, რომლებმაც განიცადეს ტერორისტული აქტები და არიან აღნიშნულის რისკის ქვეშ მოცემული მომენტისთვის, ირჩევენ გადაწყვეტილებათა იმ ნაწილების საიდუმლოდ შენახვას, რომელთა გამჟღავნებაც საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფო, ან სხვათა უსაფრთხოებას. აღნიშნული მიუთითებს, რომ არსებობს ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ისეთი ფუნდამენტური პროცედურული გარანტიების სრული

⁴¹ 2008 წლის 17 იანვარი, სარჩელი N. 14810/02, პუნქტი 45.

უგულებელყოფის გარეშე, როგორცაა სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა.“⁴²

მიუხედავად იმისა, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ტექსტი თითქოს ადგენს, რომ გადაწყვეტილებები წაკითხულ იქნას სასამართლოში, აღნიშნული არაპრაქტიკულია რიგი მიზეზების გამო, რაც მოიცავს იმ ფაქტს, რომ ხშირად სასამართლოები შეიმუშავენ გადაწყვეტილების სრულ ტექსტს სასამართლო სხდომების დასრულების შემდგომ და აღნიშნული მოითხოვდა ბევრ დროს და გამოიწვევდა შეზღუდვებს. ხსენებულის ხაზგასასმელად, საქმეში *Pretto and Others v. Italy*, სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ ევროპაში პრაქტიკა აღნიშნული მიმართულებით სხვადასხვაგვარია:

„ევროსაბჭოს ბევრ წევრ სახელმწიფოს გააჩნია წაკითხვის გარდა სხვა საშუალებათა მიმართვის ხანგრძლივი ტრადიცია ყველა ან ზოგიერთი სასამართლოს, მათ შორის საკასაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებათა საჯაროობის უზრუნველყოფისთვის, მაგალითად, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ რეესტრში განთავსება.“⁴³

შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ რეესტრში განთავსება საკმარის საშუალებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, მითითებულ რეესტრში განთავსებული გადაწყვეტილება ხელმისაწვდომი უნდა იყოს სრულად საზოგადოებისათვის „როგორც უფლება“, გადაწყვეტილების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის წარმოჩენის მოთხოვნის გარეშე.⁴⁴

პრაქტიკაში ევროპულ ქვეყანათა უმეტესობა ძირითადად აკმაყოფილებს გადაწყვეტილებათა საქვეყნოობის მოთხოვნას, იმ საკითხის გათვალისწინებით მოიცავს თუ არა აღნიშნული მხარეთა სახელებს. მხარეთა სახელების გამჟღავნება შეიძლება ასევე მოთხოვნილი იყოს კონვენციის მე-10 მუხლის დიაობის ფართო მოთხოვნებით.

დაპირისპირებულ ინტერესთა შედარებისას მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის დაცვისა და სასამართლო გადაწყვეტილებათა საქვეყნოობის საფუძვლად არსებული პრინციპების გათვალისწინება, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილისა თუ მე-10 მუხლის შესაბამისად. სხვადასხვა სასამართლოები, და ზოგ შემთხვევაში იგივე სასამართლო სხვადასხვა საქმის განხილვისას, იზიარებენ სხვადასხვა დასაბუთებას. თუმცა, მეორე ფონ ჰანოვერის საქმეში, სასამართლომ განმარტა კონფიდენციალურობის საფუძვლიანობა როგორც „მიმართული გარე ჩარევის გარეშე თითოეული ადამიანის პიროვნების განვითარების უზრუნველსაყოფად სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში“⁴⁵

პრეტოს საქმეში სასამართლომ აღწერა ღია სამართალწარმოების ძირეული მიზანი შემდეგნაირად:

⁴² 2010 წლის 11 თებერვალი, სარჩელი N 31465/08, პ. 53.

⁴³ 1983 წლის 8 დეკემბერი, სარჩელი N 7984/77, პ. 26

⁴⁴ *Werner v. Austria*, 1997 წლის 24 ნოემბერი, სარჩელი N 21835/93 პ.-ები 57-60

⁴⁵ სქოლიო 22, პ. 95

„პროცედურის საჯარო ხასიათი მე-6 მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებულ სასამართლოთა წინაშე იცავს სამართალწარმოების მონაწილეებს საზოგადოებრივი მეთვალყურეობის გარეშე მართლმსაჯულების საიდუმლო განხორციელებისაგან; იგი ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას პირველი თუ შემდგომი ინსტანციის სასამართლოთა მიმართ ნდობის შესანარჩუნებლად. მართლმსაჯულების განხორციელების გამჭვირვალობა ემსახურება მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დეკლარირებული მიზნის - სახელდობრ სამართლიანი სასამართლოს უფლების მიღწევას, რომლის უზრუნველყოფაც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს კონვენციის კონტექსტში.“⁴⁶

გამოხატვის თავისუფლების, ან თუნდაც კონვენციის მე-10 მუხლით დაცული ინფორმაციის თავისუფლების მიზნების მოკლედ შეჯამება თითქმის შეუძლებელია. მეორე ფონ ჰანოვერის საქმეში სასამართლომ აღწერა აღნიშნული ზოგადი ტერმინებით, ქვემოთ მითითებული, ხშირად ციტირებადი ამონარიდით:

„გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ არსებით საფუძველს და მისი განვითარებისა და თითოეული ადამიანის თვითრეალიზების ერთ-ერთ ძირეულ პირობას. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აღნიშნული მიემართება არა მარტო „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომლებიც კეთილგანწყობით მიიღება, მიიჩნევა არაშეურაცხყოფელად, ან/და ინდიფერენტულად, არამედ მათაც, რომლებიც შეურაცხყოფენ, იწვევენ შოკსა თუ უარყოფით რეაქციას. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო აზროვნების მთხოვნები, რომელთა გარეშე არ არსებობს „დემოკრატიული საზოგადოება“.⁴⁷

სასამართლოთა გამოქვეყნებული გადაწყვეტილებებიდან მხარეთა სახელების ამოღებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი აშკარა წინააღმდეგობრიობა მდგომარეობს იმაში, რომ შემთხვევათა უმრავლესობაში სასამართლო სხდომები საჯაროა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული, ქვემოთ მოცემული მსჯელობის გათვალისწინებით, გულისხმობს, რომ კონფიდენციალურობის ნებისმიერი ინტერესი უკვე შეზღუდულია და, შესაბამისად, აღარ არსებობს სასამართლოთა გამოქვეყნებული გადაწყვეტილებებიდან მხარეთა სახელების ამოღების შემდგომი გამართლება.

სხვა კონტექსტებში, სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ პრაქტიკული რეალობა გავლენას ახდენს იმ საკითხზე, შეესაბამება თუ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა კონვენციის მე-10 მუხლით მსგავსი შეზღუდვებისათვის დადგენილ „აუცილებლობის“ სტანდარტს. საქმეში, *Observer and Guardian v. the United Kingdom* სასამართლო დადგა ბრიტანელი ჯაშუშის მემუარებიდან ამონარიდების გამოქვეყნების აკრძალვის შეფასების საკითხის წინაშე. სასამართლომ გამიჯნა აღნიშნული მემუარების შეერთებულ შტატებში

⁴⁶ სქოლიო 43, პ. 21

⁴⁷ სქოლიო 22, პ. 101

გამოქვეყნებამდე პერიოდი, როდესაც აკრძალვა ლეგიტიმურად მიიჩნეოდა და პერიოდი გამოქვეყნების შემდგომ. ამ მომენტის შემდგომ, „პოტენციური ზიანის მთავარი ნაწილი (გაერთანებულ სამეფოში)... უკვე მიყენებული იყო“. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ აკრძალვა აღარ იყო ლეგიტიმური. ხსენებულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებლობის კრიტერიუმის, როგორც ტესტის ერთ-ერთი ნაწილის დასაკმაყოფილებლად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას უნდა გააჩნდეს პრაქტიკული შედეგი და არ არის საკმარისი მხოლოდ თეორიული ან ისტორიული სარგებელის არგუმენტზე მითითება.

მოსაზრება იმის შესახებ, რომ ღია სასამართლო სხდომა უგულვებელყოფს კონფიდენციალურობის ნებისმიერ ინტერესს, რომელიც მხარეებს შეიძლება გააჩნდეთ გადაწყვეტილების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, შესაძლოა ეჭვქვეშ დადგეს იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების შინაარსი შეიცავს მეტ პირად მონაცემს, ვიდრე გახმაურებული იყო სასამართლო სხდომაზე. როგორც წესი უნდა მივიჩნიოთ, რომ სიმართლეს საპირისპირო შეესაბამება. მოწმეთა და მტკიცებულებათა სასამართლოზე წარმოდგენით მეტად ირღვევა მხარეთა კონფიდენციალურობა, ვიდრე ეს გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს. ამასთან, გაურკვეველია, თუ როგორ უნდა შეიცავდეს სასამართლოს გადაწყვეტილება ღია სასამართლო სხდომაზე გაჟღერებულ ინფორმაციაზე მეტ მონაცემს. შესაძლებელია, აღნიშნული მიემართებოდეს სასამართლოზე წერილობითი მასალის წარმოდგენას. რა თქმა უნდა, მოცემული საკითხი არ რეგულირდება იდენტურად ყველა ქვეყანაში, თუმცა შეიძლება დამოკიდებული იყოს გადაწყვეტილებათა შემუშავებასთან დაკავშირებულ მიდგომებზე.

ამასთან მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს სასამართლო სხდომის ღიაობასა და გადაწყვეტილების საჯაროობას შორის. მცირე რაოდენობის მაღალი დონის გახმაურებული საქმეების გარდა, სასამართლო სხდომათა უმრავლესობაზე დასწრება დაშვებულია მხოლოდ მედიისა და იმ პირებისათვის, რომელთაც სხვადასხვა ხასიათის პირდაპირი ინტერესი გააჩნიათ საქმის მიმართ. თუმცა, მედიის მიერ საქმის გაშუქება გულისხმობს, რომ სასამართლო დარბაზი გაცილებით უფრო ფართო მასისთვისაა საჯარო, ვიდრე დამსწრეთა მცირე რაოდენობა მიანიშნებს. ბევრ იურისდიქციაში, პრაქტიკულად ყველა მძიმე სისხლისსამართლებრივი საქმე იმსახურებს მედიის განსაზღვრულ ყურადღებას. აღნიშნული, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში, სადაც მედია საშუალებებს მინიჭებული აქვთ უფლება გააშუქონ სასამართლო პროცესები.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებათა ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნების საკითხი, რომელიც უფრო და უფრო მიღებული პრაქტიკა ხდება და მნიშვნელოვან ბიძგს აძლევს გადაწყვეტილებათა ხელმისაწვდომობას. თუმცა აღნიშნული გარკვეულ გამოწვევებს ბადებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართ. რიგი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეთა გარდა, საქმეთა უმრავლესობა, როგორც წესი, მალე მიეცემა დავიწყებას საზოგადოებაში. გადაწყვეტილებათა ინტერნეტ სივრცეში განთავსება კი აძლევს მათ, სულ მცირე პოტენციურად, გაცილებით მაღალ პროფილს, რაც წარმოშობს განსხვავებულ პრობლემებს, მათ შორის, დაკავშირებულს „უფლებასთან იყო დავიწყებული“, რომელიც ევროპული სასამართლოს განმარტებით, წარმოშობს მნიშვნელოვან პრობლემებს პირადი

ცხოვრების ხელშეუხებლობასთან მიმართებით.⁴⁸ მითითებულ შემთხვევებში შესაძლოა არსებობდეს საჭირო ბალანსის დაცვის უზრუნველყოფის სხვადასხვა გზები. მაგალითისთვის, კანადაში ზოგიერთი სასამართლო აქვეყნებს გადაწყვეტილების სრულ ტექსტს (მხარეთა პერსონალური მონაცემების მითითებით), რომელიც მოძიებადია სხვადასხვა საძიებო სისტემების გამოყენებით მაგრამ არ ხდება გადაწყვეტილებების ინდექსირება იმგვარად, რომ მოძიებული გადაწყვეტილება გახდეს პოპულარული, საერთო საძიებო სისტემებში (მაგ. Google). აქედან გამომდინარე, საქმით დაინტერესებული ნებისმიერ პირს ან/და მათ ვინც იცნობს საქმის დეტალებს შესაძლებლობა აქვთ მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემის საშუალებით მოიძიოს სასამართლოს გადაწყვეტილება.⁴⁹

რა თქმა უნდა, გარკვეულ შემთხვევებში სასამართლო სხდომები დახურულია, ან მიუხედავად მათი საჯაროობისა, სასამართლო კრძალავს მათ გაშუქებას საქმის გარკვეულ ასპექტებთან დაკავშირებით. ევროკულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული უნდა წარმოადგენდეს ზოგადი წესიდან გამონაკლისს და „უნდა გამომდინარეობდეს საქმეში არსებული კონკრეტული გარემოებებიდან.“⁵⁰

ყველა საქმე მოიცავს პირადი ცხოვრების გარკვეულ ელემენტს, თუმცა აღნიშნულზე მითითებით სასამართლო სხდომათა ღიაობისა თუ გაშუქების შეზღუდვა, მხოლოდ მაშინ არის დაშვებული როდესაც მას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, რომელიც ამართლებს შეზღუდვას. მსგავსი შემთხვევების მნიშვნელოვანი მაგალითია საქმეები, რომლებიც შეეხება არასრულწლოვანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას. ამ შემთხვევაში, საერთო სამართლის ქვეყნებიც კი ჩვეულებრივ კრძალავენ მედიის მიერ არასრულწლოვან მხარეთა (დაზარალებულთა, ან მოწმეთა) სახელების გაშუქებას და გადაწყვეტილებები აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ქვეყნდება აკრონიმთა გამოყენებით.

ამ საკითხის რეგულირება გაერთიანებულ სამეფოში კიდევ უფრო შორსაა წასული და არსებობს პრეზუმფცია, რომ არასრულწლოვანთა საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო სხდომები დახურულია საზოგადოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესი ეწინააღმდეგება კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დეკლარირებულ ზოგად წესს, საქმეში *B. and P. v. the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული არ არღვევდა მითითებულ მუხლს. სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბრიტანულ სასამართლოებს გააჩნდათ დისკრეცია, სადაც გარემოებების შესაბამისად, შესაძლებელი იყო სასამართლო სხდომა გახსნა საზოგადოებისათვის. ამ გზით შენარჩუნდა სხვადასხვა უფლებათა დაბალანსების შესაძლებლობა.

⁴⁸ საქმე C-131/12, *Google Spain SL, Google Inc. v. Agencia Española de Protección de Datos (AEPD), Mario Costeja González* [2014] ECLI:EU:2014:317.

⁴⁹ ეს სისტემა გასაჩივრებულ იქნა კანადის სასამართლოში, მას შემდეგ რაც რუმინეთში დაფუძნებულმა ვებსაიტმა გადმოწერა კანადის სასამართლოს გადაწყვეტილებები და მოითხოვა ანაზღაურება დაუყოვნებლივი აღებისთვის. სასამართლომ დაადგინა სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების ალტერნატიული სისტემა. See *A.T. v. Globe24H.com*, 2017 FC 114, ხელმისაწვდომია მისამართზე: <https://www.canlii.org/en/ca/ct/doc/2017/2017fc114/2017fc114.html>

⁵⁰ *Diennet v. France*, 1995 31 აგვისტო, საქმე no. 18160/91, პარ. 34.

საჯაროობაზე, ან უფრო ხშირად საქმეთა გაშუქებაზე დაწესებული შეზღუდვები შეიძლება ასევე მიემართებოდეს დაზარალებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი მხარეები საქმეში. სხვა შემთხვევაში, სასამართლო სხდომები იშვიათად იხურება საზოგადოებისათვის მხოლოდ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით (საპირისპიროდ, მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოების ან სხვა ინტერესებისა). ამ შემთხვევაშიც კი, ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ შეზღუდვა უნდა იყოს მაქსიმალურად პროპორციული და მკაცრად შემოიფარგლებოდეს პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობით.⁵¹

5. გამოხატვის თავისუფლებასა და სასამართლო საქმეებთან დაკავშირებული დავები

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს წინაშე, სასამართლო საქმეებთან დაკავშირებულ კონტექსტში, ისეთ დავათა მხოლოდ მცირე ოდენობა წარმოდგენილა, სადაც კონვენციის მე-10 მუხლი, მისი გამოხატვის, ან ინფორმაციის უფლებასთან დაკავშირებულ ასპექტებში, უპირისპირდება კონვენციის მე-8 მუხლით დეკლარირებულ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. აღნიშნულ საქმეებში, რომელთა საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს *Axel Springer AG v. Germany*, სასამართლო, სულ მცირე 2012 წლიდან იყენებს კრიტერიუმებს, რომლებიც გაწერილია მეორე ფონ ჰანოვერის საქმეში. აქსელის საქმეში პრობლემატური იყო მსახიობის მიერ კოკაინის შენახვისა და მოხმარების შესახებ ბრალდების მედიის მიერ გაშუქება. ფონ ჰანოვერის კრიტერიუმის გამოყენებით სასამართლომ იოლად დაადგინა, რომ მითითებულ გაშუქებაზე დაწესებული შეზღუდვები არღვევდა გამოხატვის თავისუფლებას.⁵²

ადამიანი უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ორი ისეთი საქმე, რომლებიც მოიცავდნენ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხსაც. საქმეში *Társaság A Szabadságjogokért უნგრეთის წინააღმდეგ* საკითხი შემხებლობაში იყო მოცემულ საკითხთან, თუმცა სასამართლომ მტკიცედ უარყო მოსაზრება, რომ სახელმწიფო მოხელეთა „ზრები საჯარო საკითხებზე უკავშირდება მათ პიროვნებას და შესაბამისად წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს“.⁵³ ამ პრინციპიდან ძალზე ცოტა რჩება იმის განსაზღვრისთვის, რომ სახელმწიფო მოხელეთა მიერ საჯარო ფუნქციების განხორციელება, რომელიც მოიცავს მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მოღვაწე პირებს, ასევე არ წარმოადგენს პერსონალურ საკითხს. აღნიშნული დადასტურდა საქმეში *Magyar Helsinki Bizottság უნგრეთის წინააღმდეგ* სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამცველთა სამართლებრივ საქმეებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია

⁵¹ იხ. მაგ., *Diennet v. France*, სქოლიო 49, პარ. 34, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი ექიმის სხვა პაციენტების კერძო ცხოვრება შეიძლება გამჟღავნებულიყო, სხდომა შეიძლებოდა დახურულიყო ამის თავიდან არიდებისათვის საჭირო პერიოდის მანძილზე და არა მეტი ხნით.

⁵² სქოლიო 32, პარ. 110.

⁵³ იხ. სქოლიო 33 და მიმდებარე ტექსტი.

წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, მისი გამჟღავნება არ არღვევს პირადი ცხოვრების უფლებას.

დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტისა და მე-10 პუნქტის დებულებების ინტერპრეტაციისას უცილებელი განისაზღვროს ძირითადი განსხვავებები, როდესაც აღნიშნული მუხლებით დაცული ინტერესები უპირისპირდება ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით, როგორც იკვეთება, გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებში მხარეთა სახელების საჯაროობის ასპექტში მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს საერთო სამართლისა და კონტინენტური სამართლის სასამართლოების პრაქტიკას შორის. ზემოთქმული არ წარმოადგენს მხოლოდ განსხვავებული ხედვის საკითხს. აღნიშნული მიუთითებს ადამიანის სხვადასხვა ძირითად უფლებათა, კერძოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასა და გამოხატვის თავისუფლებას შორის ბალანსის განსაზღვრასთან დაკავშირებული მიდგომის ფუნდამენტურ განსხვავებაზე.

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს საწყის ნაბიჯს აღწერილ პრობლემათა მიმართულებით. საკითხის ამომწურავი გადაწყვეტის მიზნით აუცილებელია ბევრად უფრო სიღრმისეული ანალიზი. მიუხედავად აღნიშნულისა შესაძლებელია კონკრეტული შემაჯამებელი დასკვნების გამოტანა. უპირველეს ყოვლისა, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის მიღების ან/და ინფორმაციის თავისუფლებით სარგებლობა დამოკიდებულია კონვენციის მე-10 მუხლით დაცული გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე, აღნიშნული მუხლი ცალსახად იცავს ინფორმაციის თავისუფლებას, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მხოლოდ ახლა ხანს იქნა აღიარებული. მხარეთა სახელებსა და სტატუსებზე წვდომა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებათა შინაარსის სრულად გასააზრებლად, არამედ წარმოადგენს ინფორმაციის ძირეულ ნაწილს, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მის სოციალურ კონტექსტში გაგებისათვის. აღნიშნული უდავოდ ექცევა ინფორმაციის თავისუფლების ცნების ქვეშ ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ვიწრო განმარტების პირობებშიც კი, მიუხედავად იმისა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მიზანს წარმოადგენს საჯარო პერსონის წარსულის გამჟღავნება, კვლევის ჩატარება იმაზე თუ როგორია სასამართლოს დამოკიდებულება სხვადასხვა კატეგორიის მხარეთა მიმართ თუ სასამართლოთა ფუნქციონირების შესწავლა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში.

როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება გამოხატვის თავისუფლება მხარეთა ვინაობისადმი წვდომის ჭრილში და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა მხარეთა ვინაობის დაფარვის კონტექსტში, ღირებულებას, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ წარმოადგენს პირადი ცხოვრების დაცვის ფუნდამენტური უფლება. არ არის საკმარისი მხოლოდ იმაზე მითითება, რომ ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რაც, თავის მხრივ, ძალზე ფართო

ცნებაა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ კონკრეტულ შემთხვევებში პერსონალური მონაცემი არ არის დაცული პირადი ცხოვრების უფლებით, მაგალითად, როდესაც აღნიშნული უკავშირდება საჯარო მოხელეთა საქმიანობას, პროფესიული მოსაზრებების ჩათვლით, ან ინფორმაციას, რომლის კონფიდენციალურობის დაცვის გონივრული მოლოდინი არ შეიძლება გააჩნდეს პირს, მაგალითად დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

იმ შემთხვევაში, როდესაც პირადი ცხოვრების ინტერესი კონფლიქტში მოდის მე-10 მუხლით დაცულ გამოხატვის თავისუფლების ინტერესთან, იქნება ეს გამოხატვის თუ ინფორმაციის თავისუფლების ჭრილში, სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ ბალანსის ტესტი რათა დაადგინონ თუ რომელი ინტერესი დომინირებს. გამოხატვის თავისუფლების სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ინფორმაციის გასაჯაროების მცირე საჯარო ინტერესიც კი ჩვეულებრივ უპირატესობს პირადი ცხოვრების ინტერესთან მიმართებით. გარკვეულ შემთხვევებში ეს პრინციპი შეიძლება დაირღვეს, განსაკუთრებით მაშინ თუ პროცესი შეეხება არასრულწლოვანთა პირად ცხოვრებას.

სასამართლო დავის კონტექსტში, როდესაც ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებისთვის ღია სასამართლო სხდომაზე, რომლის განმავლობაშიც გაქდერებული ინფორმაციის გაშუქებასა და გამოქვეყნებაზე არ დაწესებულა რაიმე შეზღუდვა, გადაწყვეტილებაში მხარეთა ვინაობის დაფარვა შესაძლებელია გამართლებულ იქნეს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. სასამართლო სხდომების საჯაროობის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, აღნიშნული ცალსახად გულისხმობს იმას, რომ საჯარო გადაწყვეტილებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მხარეთა ვინაობა მოცემული უნდა იყოს სრულად.

განსხვავებული მიდგომები არსებობს გადაწყვეტილებათა ონლაინ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, რაც წვდომის ძალზედ მაღალი ხარისხიდან და ხელმისაწვდომობის ხანგრძლივი პერიოდის ხასიათიდან გამომდინარეობს. აღნიშნული მოსაზრებები შესაძლოა ითვალისწინებდეს მცირედ განსხვავებულ მიდგომას საქმეთა ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

მოცემული დასკვნები ცხადყოფენ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მრავალ ქვეყანაში აუცილებელია ძირეული ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონტინენტური სამართლის ქვეყნების შემთხვევაში, სადაც მხარეთა ვინაობის დაფარვის პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული. მიუხედავად ამისა ხსენებული პრობლემა აქტუალურია საერთო სამართლის ქვეყნებშიც, მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, როდესაც შესაძლებელია სათანადოდ არ ხდებოდეს მხარეთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ინტერესების გათვალისწინება.